საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 20/00 „14" ივლისი 2010 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი ალასანია
„14" ივლისი 2010 წელი

ეგზ. N2

ქ. ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის
(ზუგდიდის რაიონის ყოფილი განათლების განყოფილება) არაგეგმური შესაბამისობის
(კამერალური) აუდიტის აქტი

სარჩევი

შესავალი ---------- 2
ძირითადი ტექსტი ---------- 3

1. ზუგდიდის N1, N2, N5, N13 და N15 საჯარო სკოლებში სასწავლო გეგმებისა და ტარიფიკაციების შედგენა-შესრულების მდგომარეობა ---------- 3
2. „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საშტატო რიცხოვნობის შემცირების მდგომარეობა --------- 3
3. სალაროდან საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების ხარჯვის, ასევე სხვა პირებზე მინდობილობით ხელფასების გაცემის მდგომარეობა ---------- 4

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

4. საბავშვო ბაღებისათვის კვების პროდუქტების შეძენის და ჩამოწერის მდგომარეობა ---------- 5
5. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი ---------- 6
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები ---------- 6

შესავალი

თემატური აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის 2010 წლის 27 აპრილის N 1/33 დადგენილება;

აუდიტის ობიექტი: ქ. ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (ზუგდიდის რაიონის ყოფილი განათლების განყოფილება) იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, 2100.

აუდიტის ჯგუფი: აუდიტორი რევაზ ჭითავა (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორი გურამ სალუქვაძე;

აუდიტის ფარგლები: 2002 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 20 აპრილამდე პერიოდი;

აუდიტის ვადა: 2 კალენდარული დღე, 2010 წლის 28 აპრილიდან 2010 წლის 30 აპრილამდე;

აუდიტის მეთოდი: კამერალური.

ძირითადი ტექსტი

1. ზუგდიდის N1, N2, N5, N13 და N15 საჯარო სკოლებში სასწავლო გეგმებისა და ტარიფიკაციების შედგენა-შესრულების მდგომარეობა

1.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილ საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 2 მარტის N78/47–ის რევიზიის აქტის მე–4 და მე–5 გვერდზე მითითებულია, რომ N1, N2, N5, N13 და N15 სკოლებში სასწავლო გეგმასთან შედარებით ტარიფიკაციით დამტკიცებულია 89,5 კვირეული საათით მეტი, შედეგად კი ზედმეტად გაცემულია 4077,9 ლარი.

ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან წარმოდგენელი მასალების საფუძველზე ტარიფიკაციების სასწავლო გეგმებთან შესაბამისობის შესწავლით დადგინდა, რომ N1, N2, N5, N13 და N15 სკოლების მონაცემებით ეკონომია შეადგენს 182 საათს, ნაცვლად გადახარჯვისა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შრომის ანაზღაურების მუხლში გადახარჯვას ადგილი არ ჰქონია.

2. „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საშტატო რიცხოვნობის შემცირების მდგომარეობა

2.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

„საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საშტატო რიცხოვნობის შემცირების მდგომარეობით დადგინდა შემდეგი: კანონის მე–19 მუხლის თანახმად შემცირება შეეხო საქართველოს სამინისტროებს, უწყებებს, საბიუჯეტო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს. ნორმის მოქმედება არ გავრცელდა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სახელმწიფო სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკებზე. საგამონაკლისო პირობა ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებაზე არ ვრცელდებოდა.

ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ტელეფონოგრამის ასლი. ყოფილი მინისტრი ალ. კარტოზია განმარტავს, რომ აღნიშნული კანონის მე–19 მუხლის თანახმად 20%–იანი შემცირება არ ეხება საქართველოს განათლების სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკებს. შესაბამისად განათლების განყოფილებას 2003 წელს შემცირება არ განუხორციელებია, 26 საშტატო ერთეული დარჩა იგივე, ხოლო, 2004 წელს შემცირებულია 4 ერთეული და შეადგინა 22 საშტატო ერთეული.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 2 მარტის N78/47–ის რევიზიის აქტის თანახმად, 2003 წლისათვის

ზუგდიდის რ-ნის განათლების განყოფილების ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლით დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 122,9 ათას ლარს, დაზუსტებული - 141,1 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 106,3 ათასი ლარი, ანუ დაზუსტებულთან შედარებით 34,8 ათასი ლარით ნაკლები.

3. სალაროდან საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების ხარჯვის, ასევე სხვა პირებზე მინდობილობით ხელფასების გაცემის მდგომარეობა

3.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 2 მარტის N78/47–ის რევიზიის აქტის მე–5 და მე–6 გვერდზე მითითებულია, რომ საქვეანგარიშოდ გაცემულ თანხებზე არ არის წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, საქვეანგარიშო თანხების გაცემა ხდება მინდობილობის გარეშე, ადგილი აქვს დოკუმენტების გადასწორების ფაქტებს და ა.შ.

სალაროდან საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების ხარჯვის ირგვლივ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ 2002-2004 წლებში ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგეს (მოქ. მიმოზა თოდუა) ბენზინის შესაძენად მიღებული აქვს 630 ლარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 17.11.94 N 10-01/16 აქტით განსაზღვრულია საკუთარი მსუბუქი ავტომანქანების სამსახურებრივი მიმოსვლისათვის კომპენსაციის ოდენობა, არაუმეტეს 200 კმ–ისა თვეში. აღნიშნული დადგენილება არ ავალდებულებს კომპენსაციის მიმღებს, ბენზინის შეძენისა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენას, რაც შესაბამისად მ. თოდუას არ განუხორციელებია.

საქვეანგარიშო თანხების გაცემის კამერალური აუდიტით დადგინდა შემდეგი: რესურსცენტრის მიერ წარმოდგენილია 2001 წელს განათლების განყოფილების იმჟამინდელი უფროსის მიერ გამოცემული ბრძანების ასლები. ბრძანებით სკოლის დირექტორებს და საბავშვო ბაღის გამგეებს დავალებული აქვთ საქვეანგარიშოდ თანამშრომელთა ხელფასების და სხვა თანხების გატანა, გაცემა და განაღდებული სახელფასო უწყისების განყოფილებაში ჩაბარება. ვინაიდან ბრძანების გამოცემის პერიოდში სკოლები და საბავშვო ბაღები წარმოადგენდა განათლების განყოფილების სტრუქტურულ ერთეულს, მათ ხელმძღვანელობაზე ბრძანებით ხელფასების გაცემა გამორიცხავდა მინდობილობების წარმოდგენის აუცილებლობას. აღნიშნული ბრძანების წარმოდგენით ასევე გამოირიცხა იმ თანამშრომლების დამტკიცებული ნუსხის არსებობის აუცილებლობაც, რომელთაც ეძლევათ სამეურნეო მიზნებისათვის თანხების გატანის უფლება.

რაც შეეხება სალაროს გასავლის და შემოსავლების ორდერების სარეგისტრაციო ჟურნალის არ არსებობას, რეზოლუციის გარეშე განცხადების მიღების და თარიღის გადასწორების ფაქტებს, აღნიშნული წარმოადგენს უმნიშვნელო ხასიათის დარღვევებს,

რომლის წარმოშობის მიზეზების დადგენა და გამოსწორება შესაძლებელი იყო ადგილზე.

4. საბავშვო ბაღებისათვის კვების პროდუქტების შეძენის და ჩამოწერის მდგომარეობა

4.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 2 მარტის N78/47 რევიზიის მასალებში არის 2004 წელს გაფორმებული ერთ პირთან მოლაპარაკებით უნომრო ხელშეკრულება ზუგდიდის განათლების განყოფილებასა და შ.პ.ს. განათლებას შორის. ხელშეკრულება იმდენად ზოგადი ხასიათისაა, რომ შეუძლებელია დადგენა, თუ რა სახის, რა რაოდენობის, რა თანხის და რომელ საბავშვო ბაღებში უნდა შეეტანა მიმწოდებელს კვების პროდუქტები. 2002–2003 წლების ხელშეკრულებები კი საერთოდ არ მოიპოვება საქმეში.

სამეგრელო - ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მიერ 2008 წლის 14 აპრილს შედგენილია შ.პ.ს. განათლებიდან საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოღების ოქმი. ამოღებულ დოკუმენტაციაში მითითებულია შ.პ.ს. განათლების მიერ ზუგდიდის რაიონში საბავშვო ბაგა–ბაღებისთვის კვების პროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებული 2002-2005 წლების საბუღალტრო დოკუმენტაცია. ზუგდიდის რესურსცენტრიდან დამატებით წარმოდგენილია შ.პ.ს. განათლების მიერ საბავშვო ბაგა–ბაღებზე კვების პროდუქტების გადაცემის გასავლის ფაქტურები.

განათლების განყოფილების ყოფილი მთავარი ბუღალტერი (მოქ. ნ. კვარაცხელია) თბილისის საქალაქო სასამართლოში მიცემული ახსნა–განმარტებით ადასტურებს, რომ კვების პროდუქტების შესყიდვის და ჩამოწერის დოკუმენტები არ გააჩნია და განმარტავს, რომ საბავშვო ბაღები იბარებდნენ აღნიშნულ დოკუმენტაციას, შედარებას ახდენდნენ მთავარ ბუღალტერთან და შესანახად თავად მიჰქონდათ. ამის შემდეგ ზუგდიდის საბავშვო ბაღები 2005 წელს ადგენენ აღნიშნული დოკუმენტის განადგურებაზე შესაბამის ბრძანებას და განადგურების აქტებს, რომლებიც წარმოდგენილია დაუმოწმებელი სახით. ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტაციის სხვა ეგზემპლიარები არ ინახება არც განათლების და არც საფინანსო განყოფილებაში, კონტროლის პალატის აუდიტისათვის შეუძლებელია კვების პროდუქტების შეძენის და ხარჯვის რეალობის დოკუმენტურად დადგენა.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 93-ე მუხლის მე–6 პუნქტით და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა–ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის თანახმად აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვა ექვემდებარებოდა 6 წელს, რითაც არ იქნა დაცული ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტები.

წარმოდგენილი ცნობის თანახმად მშობელთა შენატანებიდან კვების პროდუქტების შესაძენად შ.პ.ს. განათლებაზე 2002 წელს გადარიცხულია 10,8 ათასი ლარი, 2003 წელს 3,4 ათასი ლარი, ხოლო 2004 წელის აპრილის ბოლომდე 8,5 ათასი ლარი. იმ პერიოდისთვის მოქმედი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება შესყიდვის განხორციელების შესახებ ერთ პირთან მოლაპარაკებით თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს.

განათლების განყოფილებამ 2002 წელს შესყიდვა განახორციელა 10,8 ათას ლარზე, რაც ექვემდებარებოდა ფასთა კოტირებას. გასათვალისწინებელია, რომ თანხების აკუმულირება ხორციელდებოდა მშობელთა შენატანებით (და არა ბიუჯეტით) და მისაღები შემოსავლებით სავარაუდო ღირებულების პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამ პერიოდში (01.01.2002-20.04.2004) განათლების განყოფილებას ბიუჯეტიდან დაფინანსება არ მიუღია.

5. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტი უფლებამოსილია აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ.თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
საქართველოს კონტროლის პალატის
აუდიტორები

რეზო ჭითავა 14.05.2010 წ.

ხელმოწერა თარიღი

გურამ სალუქვაძე 14.05.2010 წ.

ხელმოწერა თარიღი